

კონფერენციების ჩამონათვალი (2017-2021)

- 2017 წლის 19 მაისს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მონაწილეობას ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-სამტაბო კოლეჯის მსმენელები, სასწავლო ბატალიონის იუნკერები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები იღებდნენ. კონფერენციის მსვლელობისას განხილულ იქნა ჰიბრიდული ომები, საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემები, ინფორმაციული ომები და გლობალიზაციის ასპექტები. სამეცნიერო კონფერენცია მონაწილეებს საშუალებას აძლევს ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია და იმსჯელონ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე აქტუალურ თემებთან დაკავშირებით. მსგავსი კონფერენციები ასევე ემსახურება უმაღლეს სასწავლებლებს შორის სასწავლო-სამეცნიერო კუთხით თანამშრომლობის გაღრმავება;
- 2017 წლის 17 ივლისს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში გაიმართა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას აკადემიის იუნკერებთან ერთად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედის“ და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები იღებდნენ. კონფერენციის ფარგლებში იუნკერები და სტუდენტები გადანაწილებულნი იყვნენ ეკონომიკურ, მენეჯმენტის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ჰუმანიტარულ და ტექნიკურ მეცნიერებათა სექციებში, სადაც განიხილეს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები, სიღარიბე და მისი დაძლევის გზები, აკადემია ქსელის და ქსელის გარეშე, უკაბელო ქსელები ყოველდღიურ ცხოვრებაში, საქართველოს საზღვაო-სატრანსპორტო გადაზიდვების პოტენციალი, ბრენდინგი, ინტერნეტ მარკეტინგი, ანტიკრიზისული მენეჯმენტის დადებით ეფექტებთან დაკავშირებული საკითხები. მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს ეხოთერიზმზე, ქართული ცივილიზაციის როლი მსოფლიო ეკონომიკაში, საზოგადოებრივი აზრის მართვის საშუალებებსა და შეიარაღებულ ძალებში მარაგების როლის მნიშვნელობაზე;
- 2017 წლის 20 ივლისს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში გაიმართა ორდღიანი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „თავდაცვის სფეროში არსებული ინოვაციები“. აღნიშნული კონფერენცია ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო სამსახურის, პროფესორების, სამეთაურო-სამტაბო კოლეჯისა და სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტა“ ერთობლივი თანამშრომლობით ჩატარდა, რომელიც მიზნად ისახავდა კონფერენციის მონაწილეებისთვის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული ინოვაციების გაცნობას;
- 2017 წლის 22 დეკემბერს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით "საქართველოს უსაფრთხოება ადგილობრივ და გლობალურ კონტექსტში". აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობას ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორები და ინსტრუქტორები, სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები იღებდნენ. კონფერენციის მსვლელობისას განხილულ იქნა ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების თეორიები, საქართველოს საპენსიო რისკები და გამოწვევები, საქართველოს როლი და ადგილი გლობალურ სამყაროში, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები, ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული გამოწვევები და ქვეყნის შიდა უსაფრთხოების საკითხები.

- 2018 წლის 7 თებერვალს გაიმართა კონფერენცია თემაზე „ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა და მედეგობა“. მომხსენებლები აუდიტორიას ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებზე, ქართული საზოგადოების ცნობიერებისა და მედეგობის ამაღლებაზე, არსებული გამოწვევების პრევენციის, შეკავებისა და გამკლავების გზებზე ესაუბრნენ. გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ზაზა ჩხაიძემ ყურადღება ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურაში სამხედრო მდგრადობის გაძლიერების აუცილებლობასა და შეიარაღებული ძალების მიერ ამ კუთხით გატარებულ ღონისძიებებზე გაამახვილა. კონფერენციას ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო ბატალიონისა და ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსის მსმენელებიც ესწრებოდნენ;
- 2018 წლის 1 მაისს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში მორიგი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ასი წლისთავს ეძღვნებოდა. კონფერენციაში მონაწილეობას სხვადასხვა წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები იღებდნენ;
- 2018 წლის 29 ოქტომბერს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, სადაც აკადემიურ პერსონალთან ერთად, საგარეო საქმეთა სამინისტროს, კიბერუსაფრთხოების საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის, საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და დამოუკიდებელი მკვლევარები იღებდნენ მონაწილეობას. კონფერენციის მსვლელობისას განხილული იქნა საქართველო გლობალურ კონტექსტში, საინფორმაციო ომი, კიბერსივრცის გამოყენება თანამედროვე კონფლიქტებში, უსაფრთხოების ზოგადი ასპექტები და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები. აღნიშნულ კონფერენციას ესწრებოდნენ ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული დისკუსიებში;
- 2019 წლის ივნისში ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის მთავარ თემას „ევროპულ-ქართული სამხედრო, პოლიტიკური და სამოქალაქო ურთიერთობების ასპექტები“ წარმოადგენდა;

- 2019 წელს ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია „საქართველოს თავდაცვის ძალების როლი ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ალიანსში (NATO) გაწევრიანებისათვის“, რომელიც კადეტთა ლიცეუმის ბაზაზე ჩატარდა;
- 2020 წლის თებერვალში ეროვნული თავდაცვის აკადემიაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „ცოდნას მიყვავართ გამარჯვებამდე“. სამეცნიერო კონფერენცია თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში იუნკერების ცნობიერების ამაღლებასა და მათი მოტივაციის გაზრდას ისახავდა მიზნად.
- 2020 წელს, ნოემბერსა და დეკემბერში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები „საუნივერსიტეტთაშორისო სტუდენტური კონფერენცია 2020 წლის მნიშვნელოვან საკითხებზე“, „გლობალური - რეგიონალური უსაფრთხოების გამოწვევები და თავდაცვის ძალები“, „შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევები“.

2021 წელს განხორციელდა შემდეგი კონფერენციები:

საერთაშორისო:

- 24 ნოემბერი
 - ✓ 1 სექცია - კონფლიქტების ანალიზი: პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები;
 - ✓ 2 სექცია - ახალი ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა შეიარაღებულ კონფლიქტებში.

22 დეკემბერი - სამხედრო კონფერენცია ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებზე

სამხედრო თემატიკა:

- *ოფიცერთა*
- 11 ივნისი - ცივი ომის შემდგომი პერიოდი და კონფლიქტების ტრანსფორმაცია.
- 9 დეკემბერი - კავკასია ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ: არსებული სტატუსკვო და ძალთა სავარაუდო ბალანსი დიდ მოთამაშეებს შორის.
- *სერჟანტთა*
- 24 ივნისი - სერჟანტთა კორპუსის როლი თავდაცვის ძალების განვითარებაში და გაძლიერებაში.
- 25 ნოემბერი - სერჟანტთა კორპუსის როლი საქართველოს სამხედრო კონფლიქტებში: მიმდინარე გამოწვევები.

მაგისტრატურა:

- 14 მაისი - რუსეთის ჰიბრიდული ომის სტრატეგია და კავკასიის რეგიონის ქვეყნების უსაფრთხოების გამოწვევები; (სტუდენტური)
- 30 ივნისი - დიდი თამაში კავკასიის რეგიონში - გლობალური და რეგიონალური ძალები, მათი ინტერესები და მოქმედების სტრატეგია (სამეცნიერო)
- 22 ოქტომბერი - NATO-საქართველოს ურთიერთობა ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში: არსებული გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები (სტუდენტური)

ბაკალავრიატი:

- 19 მაისი
 - ✓ 1 სექცია - მართვის თანამედროვე გამოწვევები (მენეჯმენტი-სამეცნიერო);
 - ✓ 2 სექცია - ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი მსოფლიო პანდემიის დროს (ინფორმატიკა-სამეცნიერო);
 - ✓ 3 სექცია - ეროვნული უსაფრთხოება ადგილობრივ და გლობალურ კონტექსტში (თავდაცვა და უსაფრთხოება-სამეცნიერო)
- 23 ივნისი - უნივერსიტეტთა შორის სტუდენტური კონფერენცია 2021 წლის აქტუალურ საკითხებზე (სტუდენტური)
- 16 ნოემბერი
 - ✓ 1 - სექცია - ადამიანები და ჭკვიანი პროგრამები - ხელოვნური ინტელექტი (ინფორმატიკა-სამეცნიერო);
 - ✓ 2 - სექცია - თავდაცვისა და უსაფრთხოების ყოველწლიური კონფერენცია (თავდაცვა და უსაფრთხოება-სამეცნიერო);
 - ✓ 3 - სექცია - მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები (მენეჯმენტი-სამეცნიერო)
- 9 დეკემბერი - პოსტკრიზისული პანდემიური პერიოდის გამოწვევები 2021 (სტუდენტური)

ფსიქოლოგია:

- 18 მაისი- ფსიქოლოგია და თანამედროვე გამოწვევები;
- 29 დეკემბერი - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა აქტუალური საკითხები.

2022 წელს დაგეგმილი კონფერენციების ჩამონათვალი

აკადემიას განსაზღვრული აქვს 2022 წლის კონფერენციების თემატიკა:

საერთაშორისო:

- - NATO priorities and Caucasus – status quo and changes.

სამხედრო:

ოფიცერთა

თანამედროვე ომის გამოწვევები შავი ზღვის რეგიონში.

სერჟანტთა

2021 – 2022 წლის საფრთხეები და გამოწვევები.

ბაკალავრიატი:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ტენდენციები (ინფორმატიკა-სტუდენტური);
- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები (თავდაცვა და უსაფრთხოება-სტუდენტური);
- გამოწვევები თანამედროვე მენეჯმენტში თეორია და პრაქტიკა (მენეჯმენტი-სტუდენტური);
- თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიები (მექანიკის ინჟინერია - სტუდენტური);
- სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია 2022 წლის აქტუალურ საკითხებზე (სამეცნიერო).

მაგისტრატურა:

ეროვნული უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებზე (სამეცნიერო)

- პანელი I - გლობალიზაცია თუ სუვერენიტეტი
- პანელი II - ეროვნული უსაფრთხოება ადამიანის უფლებების საპირისპიროდ

- პანელი III - ეროვნული უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა
- პანელი IV - სამხედრო საფრთხეები და მათი გადაჭრის გზები

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურა (სტუდენტური)

- პანელი I - შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ეკონომიკური ასპექტები;
- პანელი II - შავი ზღვის რეგიონის სამხედრო ბალანსის ანალიზი;
- პანელი III - შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევები და მომავლის პერსპექტივები.

ფსიქოლოგთა:

აგვისტო - კომუნიკაციის როლი მართვის პროცესში და მისი ფსიქოლოგიური ასპექტები.